№ 2019/6-2

12.06.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯი სი ჯი“ (იურიდიული მის: ქ. თბილისი, გ. კარტოზიას ქ.№ 6), 2016 წლიდან აწარმოებს მაღალი ხარისხის ასფალტბეტონს. აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავთირებით კომპანიას გააჩნია შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვა (2016 წლის 30 დეკემბერი, ბრძანება N№699).

შპს „ჯი სი ჯი“-ს ასფალტბეტონის საწარმოო ინფრასტრუქტურა განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაზიანის ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთის ფართობი (ს/კ: 81.10.28.591) 14265 m^2 - ს შეადგენს და ამავე კომპანიის საკუთრებაშია.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია უახლესი გერმანული ფირმა-BENNINGHOVEN-ის, ECO–2000, კონტეინერული ტიპის ასფალტშემრევი დანადგარი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით, გამოირჩევა მაღალი უსაფრთხოებით და გარემოზე დაბალი ნეგატიური ზემოქმედებით.

ბოლო დროს, კომპანია ჯი სი ჯი - ს მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მნიშვნელოვნად გაზრდილი მოთხოვნის და საწარმოში არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაზარდოს წარმადობა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 8551
"12" 06 2019
2/2/CR
+ 02 +

შპს „ჯი სი ჯი“, ს/ნ 405039015 , გივი კარტოზიას ქ.№ 6, ბინა 3, giorgi.chrdileli@gcg.com.ge, ტელ:+995 577 580505

GCG LTD , INN 405039015, GIVI KARTOZIA STR #6, Flat 3, Email: giorgi.chrdileli@gcg.com.ge, Tel: +995 577 580505

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II თავის, მუხლი 5-ის, მე-12 პუნქტის მიხედვით - „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციას არსებული და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ:

ასფალტბეტონის ქარხნის BENNINGHOVEN, ECO-2000-ის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 120ტ/სთ-ში. ასფალტშემრევი ქარხანა წელიწადში მუშაობს დაახლოებით 62.5 დღის განმავლობაში, ორცვლიანი რეჟიმით. სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 1 000 საათს წელიწადში, აქედან გამომდინარე ასფალტბეტონის საწარმოს წლიური წარმადობა 120 000ტ/წელ-ს შეადგენს.

მოთხოვნის შესაბამისად, საწარმოს ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს წარმადობის გაზრდა 251 520 ტ/წელ.-მდე. აღსანიშნავია, რომ წარმადობის გაზრდა მოხდება სამუშაო დღეთა რაოდენობის გაზრდის ხარჯზე და წელიწადში შეადგენს 131 დღეს, ორ ცვლიანი რეჟიმით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ საწარმოში დაგეგმილი ცვლილებები და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

განცხადებას დანართის სახით თან ერთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

შპს „ჯი სი ჯი“ ს დირექტორი,

გიორგი ჩრდილელი